სს „სილქ ბანკი“ აცხადებს ტენდერს დიზელ-გენერატორის შესყიდვა/მონტაჟზე.

ტენდერის მიზანია გამოავლინოს დაინტერესებული კომპანიები, რომლებიც შეძლებენ მოთხოვნილი მომსახურების გაწევას.

**შესყიდვის ობიექტი :**

1. 1 ცალი 12-15 კვტ.გენერატორი ( არაუმეტეს 120*90*70) 380V

**გენერატორის მახასიათებები :**

- მდგომარეობა - ახალი;
- სიმძლავრე 12-15 KVA
- რაოდენობა - 1 ცალი
- ძრავის ტიპი - დიზელი;
- საწვავის ავზის მოცულობა - მინ : 120 ლტ;
- AVR ცალკე, არ უნდა იყოს გენერატორში ჩამონტაჟებული (ავტომატური ბლოკი სათადარიგო ჩართვისთვის)
- გენერატორის ტიპი - სტაციონარული, ხმის დამხშობი კაბინით, გარე დადგმულობის.
- მოთხოვნილი მინ.საგარანტიო ვადა : 2 წელი;
- დაქოქვის ტიპი - ავტომატური

2. 1 ცალი 30 კვტ.გენერატორი 380V

**გენერატორის მახასიათებები :**

- მდგომარეობა - ახალი;
- სიმძლავრე 30 KVA
- რაოდენობა - 1 ცალი
- ძრავის ტიპი - დიზელი;
- საწვავის ავზის მოცულობა - მინ : 120 ლტ;
- AVR ცალკე, არ უნდა იყოს გენერატორში ჩამონტაჟებული (ავტომატური ბლოკი სათადარიგო ჩართვისთვის)
- გენერატორის ტიპი - სტაციონარული, ხმის დამხშობი კაბინით, გარე დადგმულობის.
- მოთხოვნილი მინ.საგარანტიო ვადა : 2 წელი;
- დაქოქვის ტიპი - ავტომატური

**ტენდერის პირობები**

- ტენდერი ცხადება გამარჯვებულთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება მოთხოვნილი პროდუქციის შესყიდვის ფარგლებში მხარეთა შორის თანამშრომლობის ძირითადი პირობები;
- გენერატორის მიწოდება/მონტაჟი უნდა განხორციელდეს ბანკის მიერ გამოგზავნილი მოთხოვნიდან რეგიონების მასშტაბით: შეკვეთიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში;
- ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მომწოდებელი კომპანია დამკვეთის მიერ დანართ N3-ში მითითებულ მისამართებზე;
- წინადადებაში მითითებული ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ და ტრანსპორტირების/მოწოდების/მონტაჟის ხარჯები საქართველოს მაშტაბით.
- ფასების მოწოდება ხდება დანართი №2 მეშვეობით;

სილქ ბანკი
SILK BANK

**აუცილებელი მოთხოვნები**

- კომპანიამ უნდა წარმოადგინოს შევსებული ტენდერის სააპლიკაციო ფორმა დანართი N 1;
- წარმოდგენილი სააპლიკაციო ფორმა და წინადადება აუცილებლად უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული;
- კომპანიამ უნდა წარმოადგინოს შესასყიდი ობიექტის აღწერილობა, ტექნიკური დახასიათება და საგარანტიო პირობები;
- პრეტენდენტებმა უნდა ატვირთონ სატენდერო მოთხოვნებში გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი;
- კომპანიის წინააღმდეგ არ უნდა მიმდინარეობდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და არ უნდა იყოს ლიკვიდაციის / რეორგანიზაციის პროცესში.

**ანგარიშსწორების პირობები**

– ბანკის მიერ ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესახებ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში;
– ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;
– მომწოდებელი ვალდებულია ანგარიში გახსნას სილქ ბანკში;
– ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;

**გამარჯვებულის გამოვლენა**

გამარჯვებულის გამოვლენა სატენდერო კომიტეტი განიხილავს წარმოდგენილ ყველა სატენდერო წინადადებას და გამარჯვებულად გამოავლენს ერთ ან რამოდენიმე კომპანიას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

– შემოთავაზებული პროდუქციის ფასი;
– პროდუქციის ხარისხი/სპეციფიკაცია;
– საგარანტიო პირობები;
– მოწოდების ვადები;

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი პროდუქცია სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტენდერის პირობებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია იტოვებს უფლებას არ მიიღოს შემოთავაზება.

**თანდართული დოკუმენტაცია :**

დანართი N1 - ტენდერის სააპლიკაციო ფორმა ;
დანართი N2 - ფასების ცხრილი;
დანართი N3 - სერვის ცენტრების მისამართები.

**შემოთავაზებების მიღების წესი**

შემოთავაზება დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინოთ სს სილქ ბანკის სათაო ოფისის კანცელარიში, 10 სექტემბერს დილის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. მისამართი - ქ. თბილისი, ზაარბრიუკენის მოედანი N 2.

**წარმოსადგენ დალუქულ კონვერტზე აუცილებელი მონაცემები:**

- ტენდერის სახელწოდება;
- კომპანიის სახელწოდება;
- საიდენტიფიკაციო ნომერი;
- საკონტაქტო ინფორმაცია (პასუხისმგებელი პირი, ტელეფონი და ელ.ფოსტა).

ამავდროულად, გთხოვთ სატენდერო წინადადება ასევე გამოაგზავნოთ ელექტრონულიფორმით 11 სექტემბერს შემდეგ ელ.ფოსტაზე procurement@silkbank.ge დოკუმენტის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით, კითხვები შეგიძლიათ მოიწეროთ procurement@silkbank.ge მისამართზე ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელ.ნომრებზე:

- ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი - შალვა ლეჟავა ტელ: 577362888
- ლოჯისტიკის სამსახურის სპეციალისტი - ელენე მუსხელიშვილი 577372939

მადლობა დაინტერესებისათვის